

შპს „გადამზიდი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ბალანსი	3
მოგება / ზარალი.....	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	5
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები.....	6

ბალანსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024

(ქართული ლარი, საბალანსო, ნაერთი)

	შენიშვნა	2024	2023	2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		30	148	4 499
ფული საბანკო ანგარიშებზე		25 117	12 458	8 273
მოკლევადიანი მოთხოვნები	3	364 352	196 599	226 225
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2	97 873	69 565	8 206
სულ მიმდინარე აქტივები:		487 371	278 770	247 203
ძირითადი საშუალებები	1	1 159 443	865 347	438 705
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები:		1 159 443	865 347	438 705
სულ აქტივები:		1 646 814	1 144 117	685 909
მოკლევადიანი ვალდებულებები	4	157 858	106 791	71 296
გადასახდელი ხელფასები		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		18 025	307	-863
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		175 883	107 098	70 433
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5	1 154 293	881 567	525 185
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		1 154 293	881 567	525 185
საწესდებო კაპიტალი		0	0	27 024
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		155 453	63 266	29 515
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		161 185	92 186	33 752
სულ კაპიტალი:		316 638	155 453	90 291
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		1 646 814	1 144 117	685 909

დირექტორი:



მოგება / ზარალი

შემოსავლებისა და გაუნაწილებელი
მოგების ანგარიშგება 2024
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023	2022
ამონაგები	6	3 534 407	2 348 343	2 011 841
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	-2 132 108	-1 480 733	-1 309 794
საერთო მოგება		1 402 300	867 610	702 047
სხვა შემოსავლები	8	10 170	48 475	90 650
კომერციული დანახარჯები	9	-903 115	-605 869	-583 482
ადმინისტრაციული ხარჯები	10	-189 145	-104 190	-63 672
სხვა ხარჯები	11	-76 732	-47 271	-144 788
ფინანსური შემოსავლები	12	119 273	53 311	125 305
ფინანსური ხარჯები	13	-201 564	-119 879	-92 309
მოგება დაბეგვრამდე		161 185	92 186	33 752
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0	0
მიმდინარე წლის მოგება		161 185	92 186	33 752
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		155 453	63 266	29 515
დივიდენდი		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		316 638	155 453	63 266

დირექტორი:



კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

ოპერაციის შინაარსი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2024 წლის 1 იანვარი	0	155 453	155 453
წლის მოგება / ზარალი		161 185	161 185
ტრანზაქციები მფლობელთან	0		0
2024 წლის 31 დეკემბერი	0	0	0
	0	316 638	316 638
2023 წლის 1 იანვარი	27 024	63 266	63 266
წლის მოგება / ზარალი		92 186	92 186
ტრანზაქციები მფლობელთან	-27 024		-27 024
2023 წლის 31 დეკემბერი	0	0	0
	0	155 453	128 428
2022 წლის 1 იანვარი	28 995	29 515	29 515
წლის მოგება / ზარალი		33 752	33 752
ტრანზაქციები მფლობელთან	-1 970		-1 970
2022 წლის 31 დეკემბერი	27 024	0	27 024
	27 024	63 266	88 320

დირექტორი: გ. მამაძე

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „გადამზიდი“ (შემდგომში კომპანია) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა საიდენტიფიკაციო ნომრით 405114460. იგი რეგისტრირებულია საქართველოში 2015 წლის 26 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ელგუჯა ამაშუკელის შესახვევი, N 25ა. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ზურაბ ლაშქარაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტვირთების გადაზიდვა (49410 - სატვირთო საგზაო ტრანსპორტი) და სამშენებლო მასალით ვაჭრობა (46732 - საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციის თანამშრომლების რიცხვი შეადგენდა 10 ადამიანს (2023 – 8 ადამიანს).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოში ფუნქციონალურ (ეროვნული ვალუტა) ვალუტაში – ქართულ ლარში.

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (მსს ფასს), კომპანიამ პირველად გამოიყენა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად, ორგანიზაციის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მსს ფასს_ი მოქმედებს 2020 წლის 1 იანვრიდან და შედგომ პერიოდებზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს

მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არა დისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არა დისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები, თითოეული საანგარიშგებო თარიღით, გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სასაქონლო - მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება (შემდგომში თვითღირებულება) შეიცავს მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება FIFO მეთოდი, ემყარება დაშვებას, რა მიმდევრობითაც ხდება შესყიდვა, იმავე მიმდევრობით ხდება გაყიდვა. რაც ვიციდეთ პირველად, ის უნდა გაიყიდოს პირველი.

შენიშვნა 1.

ძირითადი საშუალებები - თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანია აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიაწინებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალოს უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

კომპანიის ძირითადი საშუალებების მეტ ღირებულებით ნაწილს წარმოადგენს სატვირთო სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ემსახურება კომპანიის საქმიანობას - ტვირთების გადაზიდვას და სამშენებლო მასალების რეალიზაციას ადგილზე მიტანით. ასევე, კომპანიის ბალანსზეა მიწის ნაკვეთი, რომელსაც იყენებს სარეალიზაციო საქონლის დასასაწყობებლად.

	2024	2023	2022
მიწა	95 000,00	95 000,00	0,00
მანქანა-დანადგარი	32 618,98	22 368,55	8 856,68
საოფისე აღჭურვილობა	5 396,22	3 549,99	2 872,03
სატრანსპორტო საშუალებები	1 280 075,61	908 332,22	569 290,94
	-	-	-
მანქანა-დანადგარის ცვეთა	5 329,86	1 786,22	64,28
საოფისე აღჭურვილობის ცვეთა	2 377,87	1 813,83	1 713,20
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	245 940,52	160 303,96	140 536,85
ნარჩენი ღირებულება	1 159 442,56	865 346,75	438 705,32

შენიშვნა 2.

სასაქონლო - მატერიალური მარაგები - სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასებას კომპანია ანხორციელებსა თვითღირებულები გამოითვლის FIFO მეთოდის გამოყენებით. სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს საწარმო აჯგუფებს ორ ჯგუფად: სარეალიზაციო პროდუქციად და ტვირთების გადაზიდვისთვის მის საკუთრებაში არსებული ავტომობილებისთვის განკუთვნილ საწვავის მარაგად.

	2024	2023	2022
საქონელი	93 597,00	63 347,06	6 744,91
ნედლეული და მასალები (საწვავი)	4 275,73	6 217,54	1 461,23

შენიშვნა 3.

მოკლევადიანი მოთხოვნები - მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს როგორც სამშენებლო მასალის რეალიზაციით წარმოშობილ მოთხოვნებს, ასევე ტვირთების გადაზიდვის (ბოლო წლებში მხოლოდ ადგილობრივი) მომსახურებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს. მოკლევადიან მოთხოვნებად აღირიცხება მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსებიც.

	2024	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	362 966,62	195 558,75	221 945,25
საერთაშორისო გადაზიდვები	0.00	0.00	0.00
წინასწარ გადახდილი ხარჯები მომწოდებლებთან და ბიუჯეტში	1 385,28	1 040,66	4 279,76

შენიშვნა 4.

მოკლევადიანი ვალდებულებები - კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითადი ნაწილი მოიცავს ადგილობრივ ბაზარზე შეძენილი საქონლის (შემდგომი რეალიზაციისათვის) შეძენიდან წარმოშობილ დავალიანებებს. სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. მოკლევადიანი ვალდებულებები ასევე მოიცავს მიღებულ ავანსებს.

	2024	2023	2022
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	115 835,57	106 791,41	71 296,40
მიღებული ავანსები	42 022,64	0	0

შენიშვნა 5.

გრძელვადიანი ვალდებულებები - კომპანიის გრძელვადიან ვალდებულებებს წარმოადგენს საბანკო სასესხო ვალდებულებები, რომელთა აღება ემსახურებოდა კომპანიის ავტოპარკის განახლებას.

	2024	2023	2022
გრძელვადიანი სესხები	1 154 293,45	881 566,52	525 184,69

შენიშვნა 6.

ამონაგები - კომპანიის შემოსავლის უმეტეს/დიდ ნაწილს წარმოადგენს ადგილობრივ ბაზარზე სამშენებლო მასალების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები (საქონლის რეალიზაცია გადაზიდვით), ხოლო დანარჩენ ნაწილს კი შეადგენს ადგილობრივი გადაზიდვების მომსახურება.

	2024	2023	2022
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	2 582 409,83	1 764 077,67	1 601 594,92
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან (სამშენებლო მასალების, ბლოკის, ბეტონის გადაზიდვიდან და ექსკავატორით მომსახურებიდან)	951 997,53	584 265,74	410 246,09

შენიშვნა 7.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს მხოლოდ მისი ნასყიდობის ღირებულებას.

	2024	2023	2022
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2 132 107,61	1 480 733,12	1 309 793,67

შენიშვნა 8.

სხვა შემოსავლები - კომპანიის სხვა შემოსავლები მოიცავს ძირითადი საშუალებების ან დაშლილი სატვირთო ავტომანქანის ნაწილების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს.

	2024	2023	2022
სხვა შემოსავლები - ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	10 169,50	48 474,57	90 650,17

შენიშვნა 9.

კომერციული დანახარჯები - კომპანიის კომერციული დანახარჯები მოიცავს:

- გადაზიდვებზე დახარჯული საწვავის ხარჯს;
- ავტომანქანების შეკეთებაზე გაწეულ დანახარჯებს;
- თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯებს.

	2024	2023	2022
საწვავის ხარჯი	410 731,56	302 074,53	324 387,93
მანქანის შეკეთების ხარჯი	129 163,22	109 265,96	91 817,48
შრომის ანაზღაურება და სოციალური დანახარჯები	341 214,24	184 527,58	158 892,24
იჯარის, ჯკს მომსახურების და სხვა კომერციული ხარჯი	22 006,14	10 001,17	8 384,65

შენიშვნა 10.

ადმინისტრაციული ხარჯები - კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

- კომუნალურ ხარჯებს;
- საბანკო მომსახურების ხარჯებს;
- საკანცელარიო და სხვა ადმინისტრაციულ სახარჯ მასალებს;
- ძირითადი საშუალებების დაზღვევის, ცვეთის და ქონების გადასახადის ხარჯებს.

	2024	2023	2022
კომუნალური ხარჯი	4359,40	0	0
საბანკო მომსახურების ხარჯი	8 348,05	5 671,88	1 943,66
საკანცელარიო და სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	24 012,52	23 512,28	1 863,12
დაზღვევის, ცვეთის და ქონების გადასახადის ხარჯი	152 425,49	75 006,30	59 864,93

შენიშვნა 11.

სხვა ხარჯი - სხვა ხარჯებში ხვდება იმ ძირითადი საშუალებების ჩამოწერა, რომლებიც კომპანიამ რეალიზაციაში მოახვედრა ავტოპარკის განახლების მიზნით.

	2024	2023	2022
სხვა ხარჯები	76 732,00	47 271,09	144 787,72

შენიშვნა 12.

ფინანსური შემოსავლები - ფინანსური შემოსავლები კომპანიას ერიცხება მხოლოდ და მხოლოდ კურსთაშორის სხვაობიდან (მათ შორის, ძირითადად, უცხოურ ვალუტაში აღებული სესხის გადაფასებიდან).

შენიშვნა 13.

ფინანსური ხარჯი - ფინანსურ ხარჯებს კომპანიისთვის წარმოადგენს კურსთაშორის სხვაობით მიყენებული ზარალი ვალდებულების დაფარვისას და ძირითადად, უცხოურ ვალუტაში აღებული სესხის გადაფასებიდან, ასევე სესხის მომსახურების საპროცენტო გადასახდელები.

შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ექონია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დირექტორმა გასაზრცელებლად დაამტკიცა 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:

